

განმარტებითი ბარათი
„მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე
საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება განაპირობა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანით, რომელთა თანახმადაც ხდება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მის ბაზაზე იქმნება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაცული ტერიტორიების სააგენტო“. კანონის თანახმად აღნიშნული სააგენტო მართავს ყველა დაცული ტერიტორიას თავის ადმინისტრაციების მეშვეობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია „მტირალას ეროვნული პარკის“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მტირალას ეროვნული პარკის მართვას განხორციელებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ დაცული ტერიტორიის მართვას განხორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ იქონიებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ გავლენას არ მოახდენს იმ პირებზე ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ ტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებების და ექსპერტების, კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მომხდარა;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში ორგანიზაციებს (დაწესებულებებს) ან/და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ და შესაბამისად მათი მხრიდან კანონპროექტის შეფასება არ მომხდარა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.